ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 17 მაისის სხდომის დღის წესრიგი.

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის 2023 წლის 17 მაისის სხდომის ოქმი N9.

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 მაისის N24-242312829 წერილი.

4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „საზოგადოებრივი სახლი ოდასთვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 მაისის N24-2423128109 წერილი.

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"), საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 მაისის N24-2423128108 წერილი.

6. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მაისის N24-242313028 წერილი.

7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.კოკში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 17,85 კვ.მ ფართი მ.გ.-ასთვის სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მაისის N24-2423130127 წერილი.

8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით ფ/პ მ.გ.-ას გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მაისის N24-2423130126 წერილი.

9. **დასკვნა N1**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

10. **დასკვნა N2**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „საზოგადოებრივი სახლი ოდასთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

11. **დასკვნა N3**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“), საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

12. **დასკვნა N4**-ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

13. **დასკვნა N5**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.კოკში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 17,85 კვ.მ ფართი მარიკა გაბისონიასთვის სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

14. **დასკვნა N6**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით ფ/პ მ.გ-ს გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

ქ. ზუგდიდი 17 მაისი 2023 წელი
14:00 სთ

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „საზოგადოებრივი სახლი ოდასთვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.შ. -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"), საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.შ. -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

4. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.ც-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის პროექტების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.კოკში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 17,85 კვ.მ ფართი მ.გ.-სთვის სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.შ. -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით ფ/პ მ.გ.-ს გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.შ. -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

7. სხვადასხვა საკითხები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომის
ოქმი N9

ქ.ზუგდიდი **17 მაისი 2023 წელი**
14:00 სთ

2023 წლის 17 მაისს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთაკომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: გიორგი სორდია, გიგა ფარულავა, ირაკლი გოგოხია, თაზო ფაცაცია, კახაბერ ჩანგელია, ოთარ ქადარია, დავით ფიფია, გიორგი კორტავა, დავით ვეკუა, მაია კალანდია, ბეჟან შანავა.

სხდომას არ ესწრებოდნენ: თამუნა ჯიქია, ჯონი ჯიქია, სოსო გოგოხია, დარეჯან გაბედავა, ლაშა ბეჭვაია.

სხდომას ასევე ესწრებოდა: კობა მორგოშია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი; **ირაკლი ციმაკურიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის განყოფილების უფროსი; **ი.შ. -** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; **ნ.ჩ. -**შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის წარმომადგენელი; **ს.გ.**-მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე; **მ.ქ. -** შამგონის ახალგაზრდული ცენტრი; **თ. ჯ.** -საზოგადოებრივი სახლი „ოდა“, შამგონის ახალგაზრდული ცენტრი; **ლ.გ**. -CSRDG-საქართველოს სტრატეგიული კვლევის და განვითარების ცენტრი; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.

სხდომის მდივანი: ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი --------- .

სხდომის დაწყებამდე კომისიის წევრებმა გაიარეს რეგისტრაცია, რეგისტრაციის გავლის შემდეგ სხდომას ესწრებოდა კომისიის 16 წევრიდან 11 წევრი. სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე გიორგი სორდია.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო სხდომის

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ----------ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსი

2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით

ააიპ „საზოგადოებრივი სახლი ოდასთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.შ -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პრველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“), საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.შ -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პრველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

4. ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.ც. -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის პროექტების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.კოკში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 17,85 კვ.მ ფართი მ.გ.-სთვის სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თანამომხსენებელი: ი.შ -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პრველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი

6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით ფ/პ მ.გ.-ს გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

მომხსენებელი: გიორგი სორდია-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

7. სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს კენჭი ეყაროს სხდომის დღის წესრიგს წარმოდგენილი რედაქციით.

კენჭისყრის შედეგად კომისიის წევრებმა დღის წესრიგს მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **პირველ საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 8 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242312829 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231284-25 8.05.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 16-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი"-ს 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და მე-8 პუნქტის და 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობის გეგმების შემუშავების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილების 16-ე მუხლის მე-1 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, აგრეთვე შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს (ს/ნ: 419982727) დირექტორის დავით სიჭინავას (პ/ნ 19001014032) მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის 2023 წლის 8 მაისის N24-242312829 წერილის საფუძველზე, დამტკიცდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია"-ს (ს/ნ: 419982727) საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №43.11.42.182; 3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმა თანდართული დანართის შესაბამისად (დანართი თან ერთვის ოქმს).

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსს კომისიის წევრებს მიაწოდოს ინფორმაცია პირველ საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „როგორც მოგეხსენებათ შპს „ვესტ ჯორჯიას" დაუმტკიცდა განაშენიანების კონცეფციის პროექტი, დარჩა ბოლო ეტაპი განაშენიანების კონცეფციის გეგმა, რომელიც კანონის შესაბამისად შეიმუშავა და წარმოგვიდგინა დასამტკიცებლად. კონცეფციის გეგმის დამტკიცების შემდეგ მერიაში შემოვა სანებართვოთი, მერე უკვე სახანძროში და სხვა უწყებებთან ნებართვებზე."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „რასაც განვიხილავთ ვიცით, რომ ვადაში გარკვეული დარღვევებით იყო წარმოდგენილი დოკუმენტები. დღეს წარმოდგენილი დოკუმენტები ვადებშია წარმოდგენილი თუ აქაც დარღვევებია?"

აზრი გამოთქვეს: მერიის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის არქიტექტურის განყოფილების უფროსმა **განმარტა:** „ჩვენს მიერ დადებული ხელშეკრულების ვადებში ვერ მოხერხდა პირობების შესრულება და მოხდა ვადის გაგრძელება 3 თვით.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „სასურველი იქნება დაჩქარებული წესით მოხდეს საბოლოო დოკუმენტაციის მომზადება, რომ ეს დაუსრულებელი პროცესი არ იყოს.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მიერ განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, შპს ,,ვესტ ჯორჯია“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (3000.00კვ.მეტრი) ასფალტის ქარხნის მშენებლობისთვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეორე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 8 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423128109 მომართვა (რეგისტრაციის N12-252311289-25 8.05.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „საზოგადოებრივი სახლი ოდასთვის“ გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 242-246 მუხლების, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ პუნქტის, მე-2 და მე-4 ქვეპუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 მაისის N24-2423128109 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი, სოფ. შამგონაში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის მეორე სართულზე არსებული 25.65 კვ.მ ფართი (საკადასტრო კოდი: 43.16.42.284) პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ააიპ ,,საზოგადოებრივი სახლი ოდას“ (ს/კ 420432455) იმ პირობით, რომ გადაცემული ფართის რეაბილიტაცია უზრუნველყოფილი იქნება ააიპ ,,საზოგადოებრივი სახლი ოდას“ ხარჯებით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა ორგანიზაციის წარმომადგენელს კომისიის წევრებს მიაწოდოს მათი საქმიანობის შესახებ მოკლე ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: თ. ჯ.-მ -საზოგადოებრივი სახლი „ოდა“-ს წარმომადგენელმა **განმარტა:** „ეს არის არაასამთავრობო ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს ახალგაზრდებთან. ორგანიზაცია სულ 2 წელია რაც არსებობს. პროექტის იდეა იმაში მდგომარეობს, რომ შამგონის ადმინისტრაციულ ერთეულში იყოს

სივრცე ახალგაზრდებისთვის, სადაც შეიკრიბებიან. ეს არის ორგანიზაცია, რომელიც იმუშავებს ახალგაზრდებთან არაფორმალური განათლების მიმართულებით, ჩატარდება სხვადასხვა აქტივობები, ახალგაზრდებთან ვმუშაობთ სპეციალური კურიკულუმით, რომლის მიხედვით ჩატარდება ტრენინგები დასაქმების, ლიდერობის, მეწარმეობის, აქტიური მოქალაქეობის მიმართულებით. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსით მოვიპოვეთ დაფინანსება -30 000 ლარი, რომელითაც მოხდება ფართის მოწყობა და ინვენტარის შეძენა."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით სარგებლობის უფლებით ააიპ „საზოგადოებრივი სახლი ოდასთვის" გადაცემის თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ" ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მესამე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 8 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423128108 მომართვა (რეგისტრაციის N12-252312810-25 8.05.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"), საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 21-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS-ის" 2023 წლის 2 მაისის №36 წერილის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 8 მაისის N24-2423128108 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS", ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე მდებარე ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით გადაცემაზე საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ (უზუფრუქტუარი შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"):

1.1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 534,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.42.609) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 21 480 (ოცდაერთი ათას ოთხას ოთხმოცი) ლარით.

1.2. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 210,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.42.609) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 8 420 (რვა ათას ოთხას ოცი) ლარით.

1.3. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 90,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.42.609) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3 610 (სამი ათას ექვსას ათი) ლარით.

1.4. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 206,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.42.507) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 8 260 (რვა ათას ორას სამოცი) ლარით.

1.5. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 250,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.42.507) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 10 020 (ათი ათას ოცი) ლარით.

1.6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 327,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 13 110 (ცამეტი ათას ას ათი) ლარით.

1.7. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 104,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 4 170 (ოთხი ათას ას სამოცდაათი) ლარით.

1.8. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 371,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 14 870 (თოთხმეტი ათას რვაას სამოცდაათი) ლარით.

1.9. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 475,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 19 040 (ცხრამეტი ათას ორმოცი) ლარით.

1.10. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 99,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3 970 (სამი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარით.

1.11. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 69,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 770 (ორი ათას შვიდას სამოცდაათი) ლარით.

1.12. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 50,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 010 (ორი ათას ათი) ლარით.

1.13. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 25,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 970 (ცხრაას სამოცდაათი) ლარით.

1.14. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 65,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 610 (ორი ათას ექვსას ათი) ლარით.

1.15. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 137,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 5 500 (ხუთი ათას ხუთასი) ლარით.

1.16. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 212,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 8 500 (რვა ათას ხუთასი) ლარით.

1.17. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 18,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 730 (შვიდას ოცდაათი) ლარით.

1.18. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 147,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 5 900 (ხუთი ათას ცხრაასი) ლარით.

1.19. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 20,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.29.44.061) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 810 (რვაას ათი) ლარით.

1.20. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.49.041) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

1.21. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.49.041) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

1.22. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 48,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.49.041) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1 930 (ათას ცხრაას ოცდაათი) ლარით.

1.23. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 48,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.49.041) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1 930 (ათას ცხრაას ოცდაათი) ლარით.

1.24. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 46,6 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.49.041) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 1 870 (ათას რვაას სამოცდაათი) ლარით.

1.25. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 99,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.49.041) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 3 970 (სამი ათას ცხრაას სამოცდაათი) ლარით.

1.26. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 138,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.41.875) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 5 540 (ხუთი ათას ხუთას ორმოცი) ლარით.

1.27. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.41.875) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

1.28. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.41.875) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

1.29. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.41.875) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

1.30. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.41.875) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

1.31. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.41.875) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

1.32. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე 64,0 კვ.მ მიწის ნაკვეთის (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 43.30.41.875) საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2 570 (ორი ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მესამე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მადლობა მინდა გადავუხადო ბატონ ნიკოლოზს სხდომაზე მოსვლისთვის. ვნახე დანართი და ფოტოები, სადაც ბუნდოვნად არის ასახული მასალები და გარჩევა რთულია რა სად არის. წარმოდგენილია რამდენიმე საკადასტრო კოდი, რომლებიც შემდეგ არის დაყოფილი. რადგანაც გადავწყვიტეთ რიგგარეშე სხდომის ჩანიშვნა საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, აღნიშნულ საკითხებში გასარკვევად აუცილებელი იყო მერიის სამსახურის დასწრება. მე არ ვაპირებ ამ განხილვაში მონაწილეობის მიღებას, რადგანაც არ მაქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული კომპეტენტური ინფორმაცია."

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდია: „მეც აღნიშნულ საკითხის განხილვაში მონაწილეობას არ მივიღებ. თუ შეიძლება ამიხსნათ დეტალურად რას უნდა მივცე ხმა, რადგან ვერ გავერკვიე ბევრ რაღაცაში.

აზრი გამოთქვეს: ნ.ჩ. -მ -შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS"-ის წარმომადგენელმა **განმარტა:** კომერციული საქმიანობისთვის ლოკაციებია გამოყოფილი და ვინც სავაჭრო საქმიანობით არის დაინტერესებული შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ აუქციონში და მიწა აიღონ იჯარით სეზონის განმავლობაში.

აზრი გამოთქვეს: მაია კალანდიამ განაცხადა: „გასაგებია, მაგრამ დოკუმენტი ვინც მოამზადა იმათგან მოვისმონოთ კონკრეტული ინფორმაცია ამ საკითხზე."

აზრი გამოთქვეს: ირაკლი გოგოხიამ აღნიშნა: „ანაკლია-რესორტსის წარმომადგენელმა უნდა გაგვცეს პასუხი, იქიდან გამომდინარე, როგორც ვიცი ანაკლია-რესორტსი შემოვიდა გამზადებული დოკუმენტაციით მერიაში, მერე მერიამ წერილი მოიწერა საკრებულოში, მგონი ასეა პროცედურა."

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ აღნიშნა: „მე მაინტერესებს მერია რას გეგმავს ამ კონკრეტულ ლოკაციაზე. ვინც მასალებს გადახედა, ნახავდა რომ წარმოდგენილი ფოტომასალით შეუძლებელია რამის სრულყოფილად გარკვევა."

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ აღნიშნა: „ვინაიდან ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენლები არ არიან ეს საკითხი დავტოვოთ ღიად. თუ კომისიის დასრულებამდე წარმომადგენელი მოვა შემდეგ გავაგრძელოთ განხილვა ან გადავდოთ მომდენო სხდომისთვის."

კომისიამ გააგრძელა დარჩენილი სამი საკითხების განხილვა. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ კომისიის სხდომის დახურვამდე 14:48 საათზე გამოცხადდა შესვენება, რათა მერიის წარმადგენელს აღნიშნულ საკითხზე გაეკეთებინა პრეზენტაცია. კომისიაზე მერიის წარმომადგენლის მოსვლის შემდეგ სხდომა განახლდა 15:07 საათზე.

კომისიის სხდომაზე მერიიდან საკითხზე განმარტების გასაკეთებლად მოვიდა იური შეროზია მერიის ქონების მართვის განყოფილებიდან, რომელმაც აღნიშნულ საკითხზე გააკეთა დეტალური პრეზენტაცია (ფოტოჩვენება)

აზრი გამოთქვეს: იური შეროზიამ განმარტა: „აქ არის განმუხურის და ანაკლიის ლოკაცია, ჯამში 32 მიწის ნაკვეთები, სადაც შესაძლებელია ჯიხურების ან ბუნგალოების განთავსება."

აზრი გამითქვეს: ოთარ ქადარიამ აღნიშნა: „მაინტერესებს საიდან შეირჩა ეს 32 წერტილი. ეს ის ადგილები კაზანტიპის დროს რომ იყო იჯარით გაცემული? იმ დროს არსებული რკინის კარკასეები აღებულია თუ არის დარჩენილი აღნიშნულ ტერიტორიაზე?"

აზრი გამოთქვეს: ი.შ.-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების მართვის სამსახურის ქონების მართვის განყოფილების პრველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა **განმარტა:** „დიახ, ეს არის ლოკაციები, რომლებიც შეირჩა კაზანტიპის ფესტივალის დროს. რაც შეეხება კონსტრუქციებს ნაწილი დაშლილია და გატანილია, ნაწილი შემორჩენილია. ამ ლოკაციაზე მყარი ნაგებობა არ არის."

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად **(კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კომისიის 9 წევრმა, რადგან კომისიაზე გამოცხადებული შესვენების შემდეგ სხდომის განახლებისას კომისიაზე არ შემოსულან გიგა ფარულავა და კახაბერ ჩანგელია)**

მომხრე: 9

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ანაკლია-განმუხურის სანაპირო ზოლზე მდებარე უძრავი ქონებების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარის წესით გადაცემაზე (უზუფრუქტუარი შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“), საწყისი წლიური საიჯარო ქირის საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეოთხე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 10 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-242313028 მომართვა (რეგისტრაციის N12-25231303-25 10.05.2023წ), რომელიც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონებას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი, მე-2 პუნქტების და მე-4 პუნქტების, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ადგილობრივი თვითმმართველობის და რეგიონული პროექტების შერჩევის პროცედურების და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 7 თებერვლის №23 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მაისის N24-242313028 მომართვის საფუძველზე, მოწონებულ იქნეს ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წინადადება განისაზღვროს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პროექტების ნუსხა თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების ნუსხა				
N	**ადმინისტრაციული ერთეული**	**საპროექტო წინადადების დასახელება**	**პროექტის კატეგორია**	**პროექტი ავარაუდო რებულება**

1	მაცხოვრისკარი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ირცხალავას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზა	486981
2	მაცხოვრისკარი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ენდელიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზა	915930
3	ოდიში (ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, უდაპეშტის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზა	457883
4	ოდიში (ქალაქი)	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, იონა მეუნარგიას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია	გზა	131312
5	ოდიში	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯაიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია	სანიაღვრე არხი	110042
6	ცაიში	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ელა ჯანჯღავას სახლის მიმდებარედ რკინა-ბეტონის დამცავი კედლის მოწყობა	ნაპირსამაგრი	69158
7	ყულიშკარი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში სახარებავოს უბანში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	წყალმომარაგება	140591
8	ნარაზენი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნარაზენი-შამადელას ამაკავშირებელ გზაზე (თბილისის ქ.) წყალმომარაგების სისტემის მოწყობა	წყალმომარაგება	545870

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს და მერიის წარმომადგენელს გამოთქვან თავიანთი წინადადებები ან შენიშვნები მეოთხე საკითხთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ი.ც.-მ -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის პროექტების მართვის განყოფილების პირველი კატეგორიის უფროსმა სპეციალისტმა **განმარტა:** წარმოსდგენილი 8 პროექტის ღირებულება სცილდება 50 000 ლარს, შესაბამისად საკრებულოს მიერ პროექტების მოწონების შემთხვევაში წარსდგება სამხარეო საკონსულტაციო საბჭოში გუბერნიაში და დაფინანსების მოპოვების მიზნით შემდეგ გაიგზავნება რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

აზრი გამოთქვეს: დავით ფიფიამ განაცხადა: „შარშან იყო წარდგენილი პროექტი ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში ბეტონის გზის დაგების შესახებ, დღემდე ველოდებით ამ თანხას და მაინტერესებს როდის იქნება ზოგადად ამ დამტკიცებული პროექტების დაფინანსება. ზოგიერთი პროექტის დამტკიცებიდან წლებია გასული და დაფინანსებული ჯერ არ არის.“

აზრი გამოთქვეს: გიგა ფარულავამ განმარტა: „მარტივად რომ ავხსნათ, პროექტის მოწონება აუცილებელია იმისათვის, რომ არ მოხდეს შემდგომი ეტაპების პროცედურულად შეფერხება. როდესაც რეგ.ფონდი თანხას გამოყოფს, ეს თანხა პროექტისთვის რომ მივმართოთ, ამისათვის საჭიროა მოწონებული იყოს აღნიშნული პროექტი საკრებულოს მიერ. თუ პროექტი მოწონებულია არ იქნება, ჩათვალეთ რომ ეს გამოყოფილი თანხა დაკარგულია. ასევე მეორე საკითხი ფონდიდან გამოყოფილი თანხის განაწილებასთან დაკავშირებით-აღმასრულებელი ორგანო-მერია თვითონ არჩევს, პრიორიტეტის მიხედვით თუ რომელი პროექტი მიიღებს დაფინანსებას წლების განმავლობაში დაგროვებული პროექტებიდან.“

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ადგილობრივი თვითმმართველობის პროექტების დაფინანსების ინიცირების მიზნით, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებთან შესაბამისობაში დადასტურებული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მომზადებული წინადადების მოწონების თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეხუთე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რომ 2023 წლის 10 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423130127 მომართვა (რეგისტრაციის N12-252313012-25 10.05.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.კოკში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 17,85 კვ.მ ფართი მ.გ.-სთვის სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის 1-ლი

ნაწილის “დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ,,დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-2 ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 36-ე მუხლის მე-2 ნაწილის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმი N5-ის (21.04.2023წ) შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მაისის N24-2423130127 წერილის საფუძველზე, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.კოკში მდებარე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე 17,85 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი (საკადასტრო კოდი: 43.23.01.509) გასცეს სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით 3 (სამი) წლის ვადით მარიკა გაბისონიაზე, იმ პირობით, რომ მოიჯარეს მიერ კეთილმოწყობილ იქნება აღნიშნული ფართი და აღნიშნულ ფართზე მოეწყობა სილამაზის სალონი. საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფ.კოკში მდებარე არასაცხოვრებელი ფართიდან 17,85 კვ.მ ფართი მ.გ.-სთვის სარგებლობაში, პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით გაცემისა და ქირის წლიური საფასურის განსაზღვრის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ **მეექვსე საკითხთან** დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გიორგი სორდიას ინფორმაცია.

მან აღნიშნა, რ.ომ 2023 წლის 10 მაისს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის N24-2423130126 მომართვა (რეგისტრაციის N12-252313013-25 10.05.2023წ), რომელიც შეეხება ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით ფ/პ **მ.გ-ს** გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემას.

აზრი გამოთქვეს: გიორგი სორდიამ განმარტა, საქართველოს ორგნული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი, 122-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობის და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვის მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის ოქმის N5 (21.04.2023) შესაბამისად და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 10 მაისის N24-2423130126 წერილის საფუძველზე, მიეცეს

თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერს, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ზუგდიდი რუსთაველის ქუჩაზე მდებარე 1849,00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 2 (ორი) კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის ქონების) საკადასტრო კოდი: 43.31.56.310) გაიცეს სარგებლობაში პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით, 2023 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით ფიზიკური პირ მ.გ -ზე შემდგომში წყლის და ნაყინის ჩამოსასხმელი აპარატის განსათავსებლად, საიჯარო ქირის წლიური საფასური განისაზღვროს 2400 (ორიათასოთხასი) ლარის ოდენობით.

კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს ხომ არა აქვთ რაიმე სახის წინადადება ან შენიშვნა.

კომისიის წევრების მხრიდან სხვა განსხვავებული წინადადებები და შენიშვნები არ გამოთქმულა და საკითხი დაყენებულ იქნა კენჭისყრაზე.

კენჭისყრის შედეგად საკითხს კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს ერთხმად.

მომხრე: 11

წინააღმდეგი: 0

გადაწყვიტეს: განკარგულების პროექტი „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით ფ/პ მ.გ-ს გადაცემის შესახებ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე“ ჩაითვალოს მომზადებულად და დასკვნა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში დაუყოვნებლივ შეტანის მიზნით.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ურბანული განვითარებისა
და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

გიორგი სორდია

ხელმოწერილია